

დამტკიცებულია ცვლილებებით სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ
(აკადემიური საბჭოს დადგენილება № 05/01- 351, 17.07.2017)

1. სამაგისტრო პროგრამის დასახელება - განათლების ფსიქოლოგია (სკოლის ფსიქოლოგია)
2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი - განათლების ფსიქოლოგიის მაგისტრი
3. პროგრამის მოცულობა - 120 ECTS
4. სწავლების ენა - ქართული
5. სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელები
 - დავით ზურაბაშვილი - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი;
 - თამარ ჯავახიშვილი - ფსიქოლოგიის დოქტორი, სსუ ასოცირებული პროფესორი;
 - რუსუდან ფიფია - ფილოლოგიის დოქტორი, სსუ ასოცირებული პროფესორი. განათლების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
6. სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები
 - ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდები
 - ბაკალავრის აკადემიური ხარისხი; (განათლების ბაკალავრი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ბაკალავრი, სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი)
 - შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობაში (სასპეციალიზაციო დისციპლინა - ფსიქოლოგიის შესავალი)
 - (საკითხები იხ. http://sou.edu.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=371&info_id=859)
7. სამაგისტრო პროგრამის მიზანი

სფეროს აღწერა: განათლების ფსიქოლოგია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია და განსაკუთრებით დიდ როლს თამაშობს დასავლეთის საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებებში. განათლების ფსიქოლოგი არის საგანმანათლებლო დაწესებულების კონსულტანტ-ფსიქოლოგი, რომელიც ხელმძღვანელობს კონსულტაციური ფსიქოლოგიის მეთოდებით, რაც ითვალისწინებს ბიო, ფსიქო, სოციო-პოლიტიკურ მიდგომებს და გულისხმობს პიროვნების ჯანმრთელობასა და ზრდას, ჯანსაღი ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და ცხოვრების ხარისხის ამაღლებას.

მიზანი: სამაგისტრო პროგრამის მიზანს წარმოადგენს მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება სკოლის ფსიქოლოგიის დარგში. სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება განათლების ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი. პროგრამის ძირითადი მიზანია სკოლის ფსიქოლოგიის მომზადება, რომელიც მოემსახურება სკოლას, სააღმზრდელო დაწესებულებებსა და ფსიქო-სოციალურ კონსულტირების ცენტრებში ფსიქიკური ჯანმრთელობის შენარჩუნებას, პრევენციული ღონისძიებების ჩატარებას და განახორციელებს სკოლამდელი ასაკის ბავშვთა და მოსწავლეთა ფსიქოლოგიურ დახმარებას. დაეხმარება მოსწავლესა და მასწავლებელს ურთიერთობების მოწესრიგებაში. აღნიშნულ მიზანს ემსახურება ის სალექციო კურსები და სტუდენტთა პრაქტიკული მუშაობა (როგორც უშუალოდ ლექტორთან, ისე დამოუკიდებლად), რომელიც გათვალისწინებულია წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამით. პროგრამის გავლის შემთხვევაში სტუდენტს ექნება სრული წარმოდგენა განათლების ფსიქოლოგიის სფეროში არსებულ ძირითად თეორიულ და პრაქტიკულ მიდგომებზე. პროგრამა იძლევა ღრმა და სისტემურ ცოდნას ურთიერთობის ფსიქოლოგიის, ფსიქოდიანოგოსტიკისა და ფსიქოკონსულტაციის, სოციომეტრიის, სოციალური ფსიქოლოგიის, განვითარების (ასაკობრივი) ფსიქოლოგიის შესახებ, რომელიც მაგისტრანტს აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს. საგანგებო ყურადღება ექნება გამახვილებული ბავშვებთან და მოზარდებთან ჯგუფურ მუშაობაზე. სასწავლო კურიკულუმისა და საკლასო პროცესების მართვაზე.

8. სწავლის შედეგები

- **ცოდნა აცნობიერება**

სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ განათლების ფსიქოლოგს აქვს სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს განათლების ფსიქოლოგიაში ახალი ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას და აცნობიერებს დარგში არსებული ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს. აქვს ცოდნა ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის აქტუალური პრობლემების, ურთიერთობისა და სოციალური ფსიქოლოგიების, ფსიქოთერაპიის, ფსიქოდიანოგოსტიკისა და ფსიქოკონსულტირების შესახებ. იგი ხელმძღვანელობს კონსულტაციური ფსიქოლოგიის მეთოდებით, რომლებიც ითვალისწინებენ ბიო, ფსიქო, სოციო-პოლიტიკურ მიდგომას, რაც თავის მხრივ, გულისხმობს პიროვნების ჯანმრთელობასა და ზრდას, ჯანსაღი სოციალური გარემოსა და ურთიერთობების ჩამოყალიბებას, ცხოვრების ხარისხის ამაღლებას.

- **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი**

აქვს განათლების ფსიქოლოგიისათვის ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინარულ გარემოში მოქმედების უნარი; შეუძლია განათლების ფსიქოლოგიაში კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით;

შეუძლია შეძენილი თეორიული პედაგოგიური და ფსიქოლოგიური ცოდნა და გამოცდილება პრაქტიკაში სკოლასა და სხვა საადმინისტრაციო დაწესებულებებში გამოიყენოს. ამ პრობლემის გადაჭრაში მას დაეხმარება პროფესიული პრაქტიკა და სამაგისტრო ნაშრომის შექმნის პროცესში ჩატარებული პრაქტიკული სამუშაო, რომლის განხორციელების პროცესში მაგისტრი მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკულ რეალიზაციას მოახდენს; აღნიშნული ინდიკატორების საფუძველზე მაგისტრს ჩამოყალიბებული აქვს მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევები.

- **დასკვნის უნარი**

სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ, შეძენილი ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე მაგისტრს აქვს განათლების ფსიქოლოგიის დარგში ანალიზისა და არგუმენტირებული დასკვნების გაკეთების უნარი. შეუძლია დარგში არსებული რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, განათლების ფსიქოლოგიაში უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი; გამოუმუშავებული აქვს საკუთარი აზრის ჩამოყალიბებისა და განათლების ფსიქოლოგიასთან მისადაგებული დასკვნების გაკეთების უნარი.

- **კომუნიკაციის უნარი**

განათლების ფსიქოლოგიის კურსდამთავრებულს აქვს კომუნიკაციის მაღალი უნარი, რომელიც აუცილებელია სკოლამდელი და სასკოლო ასაკის ბავშვებთან და მოსწავლეებთან ურთიერთობისათვის. აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან შეუძლია ქართულ და უცხოურ ენებზე თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების, სასკოლო ფსიქოლოგიის საკითხებსა და პრობლემებზე, მათი გადაჭრის გზებზე კომუნიკაცია, რასაც განხორციელებს აკადემიური პატიოსნების სტანდარტების დაცვისა და საინფორმაციო - საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით. აქვს სამეცნიერო ნაშრომების, განათლების სისტემაში არსებული პრობლემების შესახებ პროექტების წარდგენისა და პრეზენტაციის უნარი.

- **სწავლის უნარი**

შეუძლია სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, აქვს სწავლის პროცესის თავისებურებების დამოუკიდებლად გაცნობიერებისა და სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალი დონე; შეუძლია დამოუკიდებლად განსაზღვროს რამდენად შეესაბამება მის შესაძლებლობებს სწავლის გაგრძელების აუცილებლობა და დაგეგმოს სწავლის გაგრძელება შედარებით მაღალი ხარისხის ცოდნის მისაღებად სწავლების მომდევნო საფეხურზე - დოქტორანტურაში.

- **ღირებულებები**

განათლების ფსიქოლოგიის მაგისტრს ჩამოყალიბებული აქვს ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასების უნარი. შეუძლია საგანმანათლებლო სფეროში ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა და მისი პოპულარიზაცია.

9. სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა

#	სასწავლო კურსი/მოდული	კოდი	ECTS	საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათები		კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით				ლექტორი	წინაპირობა
				საკონტაქტო	დამოუკიდებელი	I	II	III	IV		
სავალდებულო და არჩევითი კურსები/მოდულები - 96 კრედიტი											
საერთო საფაკულტეტო სავალდებულო საგნები განათლების ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებისათვის - 33 კრედიტი											
1.	ინგლისური ენა I B- 2 დონე	ENGL M 234	6	50	100	6				ასოც. პროფ. მანანა ბელთაძე	წინაპირობა არა აქვს
2.	დარგობრივი ინგლისური ენა	ENGL M 235	6	50	100		6			ასოც. პროფ. თამარ შინჯიაშვილი	ინგლისური ენა I B- 2 დონე
3.	აკადემიური წერა განათლების მაგისტრანტებისათვის	EDUC M 201	6	50	100	6				ასოც. პროფ. რუსუდან ფიფია	წინაპირობა არა აქვს
4.	პედაგოგიკის აქტუალური პრობლემები	EDUC M 202	6	50	100	6				ასისტ. პროფ. ლეილა შეროზია	წინაპირობა არა აქვს
5.	განათლების ფსიქოლოგია მაგისტრანტებისათვის	EDUC M 203	6	50	100	6				ასოც. პროფ. თამარ ჯავახიშვილი	წინაპირობა არა აქვს
6.	კვლევის მეთოდოლოგია	EDUC M 204	3	35	40			3		სრული პროფ. ჯემალ ჯინჯიხაძე	წინაპირობა არა აქვს
საფაკულტეტო არჩევითი საგნები - 3+3 კრედიტი						3+3					
1.	ინკლუზიური განათლების პრინციპები	EDUC M 205	3	35	40					ასოც. პროფ. თამარ ჯავახიშვილი	წინაპირობა არა აქვს
2.	სოციალური ფსიქოლოგია	EDUC M 206	3	35	40					ასოც. პროფ. იზო ბუხუელიშვილი	წინაპირობა არა აქვს
3.	თანამედროვე ფსიქოლოგიის აქტუალური პრობლემები	EDUC M 207	3	35	40					ასოც. პროფ. იზო ბუხუელიშვილი	წინაპირობა არა აქვს
4.	სამოქალაქო განათლება მაგისტრანტებისათვის	EDUC M 208	3	35	40					დოქტორი ია ჯიჭონაია	წინაპირობა არა აქვს

სპეციალობის სასწავლო კურსები												
სავალდებულო საგნები - 27 კრედიტი												
ა)												
1.	ურთიერთობის ფსიქოლოგია	EDUC M 209	3	35	40		3			ასოც. პროფ. იზო ბუბულიძე	განათლების ფსიქოლოგია მაგისტრანტებისათვის	
2.	განვითარების ფსიქოლოგია	EDUC M 210	6	50	100		6			ასოც. პროფ. თამარ ჯავახიშვილი	განათლების ფსიქოლოგია მაგისტრანტებისათვის	
3.	ფსიქოლინგვისტიკა	EDUC M 211	6	50	100		6			ასოც. პროფ. კახი კოპალაძე	წინაპირობა არა აქვს	
4.	ფსიქოკონსულტაცია	EDUC M 212	6	50	100			6		ასოც. პროფ. კახი კოპალაძე	ფსიქოლინგვისტიკა	
5.	სკოლისა და ოჯახის ურთიერთობები	EDUC M 213	3	35	40			3		ასისტ. პროფ. ლელა რეხვიაშვილი	პედაგოგიკის აქტუალური პრობლემები	
6.	ფსიქოთერაპია	EDUC M 214	6	50	100		6			ასოც. პროფ. დავით ზურაბაშვილი	წინაპირობა არა აქვს	
ბ)	სპეციალობის არჩევითი კურსები - 15 კრედიტი											
1.	განათლების სოციოლოგია მაგისტრანტებისათვის	EDUC M 215	6	50	100					ასოც. პროფ. თამარ შინჯიაშვილი	წინაპირობა არა აქვს	
2.	სოციომეტრია	EDUC M 216	3	35	40					ასოც. პროფ. ნესტან ლომია	წინაპირობა არა აქვს	
3.	სასწავლო კურიკულუმისა და სასწავლო პროცესის მართვა	EDUC M 217	3	35	40					ასოც. პროფ. თამარ შინჯიაშვილი	წინაპირობა არა აქვს	
4.	განწყობის ფსიქოლოგია	EDUC M 218	3	35	40					ასოც. პროფ. თამარ ჯავახიშვილი	განათლების ფსიქოლოგია მაგისტრანტებისათვის	
5.	ფსიქიატრია	EDUC M 219	6	50	100					ასოც. პროფ. დავით ზურაბაშვილი	ფსიქოთერაპია	
6.	სოციოლოგია	EDUC M 220	3	35	40					ასოც. პროფ. თამარ შინჯიაშვილი	წინაპირობა არა აქვს	
	პროფესიული პრაქტიკა	EDUC M 221	6	105	35			6		ასოც. პროფ. დავით ზურაბაშვილი	განვითარების ფსიქოლოგია ფსიქოლინგვისტიკა ფსიქოთერაპია	
	სამაგისტრო ნაშრომი	EDUC M 222	30	65	685				30			
სულ - 120 კრედიტი							30	30	30	30		